№ 122. ივნისის 8, პარასკევი. 1866—1884 ივნისის 8, პარასკევი. № 122.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი.

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა თბილისის წიგნის მაღაზიებში
თ. გიორგი დავითის ძის
ერისთავის
თხზულება

წიგნი შეიცავს 594 გვერდს. თხზულების დასაწყისში არის დართული პორტრეტი პოეტისა, ლეიბციხში გაკეთებული. იქვე არის მცირე შესავალი თ. აკაკი წერეთლისა და ვრცელი ბიოგრაფიული და კრიტიკული შემეცნება ი. მეუნარგიასი.

ფასი წიგნისა

თბილისში 2 მ. გაგზავნით 2 მ. და 40 კ. საგანგებოდ გაკეთებულის კალენკორის ყდით.

მოკლეს დროში წიგნი გაიგზავნება ქუთაისში და ყველა საქართველოს უეზდის ქალაქებში, საცა წიგნების ვაჭრობა არის.

ქალაქიდამ წიგნის დაბარება ამ ადრესით შეიძლება: Тифлисъ. Въ Закавказскую книжную торговлю Зах. Петр. Грикурова.
(10—5)

«დროების» რედაქცია უმორჩილესად აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ადრესს გამოიცვლიან, რომ რედაქციაში უნდა წარმოადგინონ ან შვიდი შაური, ან ხუთი შვიდ კაპეიკიანი მარკა. (10—6)

მმართველობა ქართული დრამატიული საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ამა თიბათვის 14, საღამოს 7 საათზედ, წერა-კითხვის საზოგადოების სადგომში გამართული იქმნება საზოგადო კრება ანგარიშის მოსასმენად და ახალის მმართველობის ამოსარჩევად.

თავმჯდომარის მაგიერი
თ. რაფ. ერისთავი.
(3—1)

## საბანკო დავიდარაბა

### გაზეთების ფურცლებზედ

თბილისი, ივნისის 8-ს.

გათავდა მაისი, გათავდენ ჩვენს ქალაქში საზოგადო კრებები ბანკებისა და სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა: მაგრამ მაისისაგან მოქნეული კუდი ჯერ კიდევ ეტყობა ჩვენს ცხოვრებას. თითქო მაისმა ველარ მოასწრო თავის საქმეების მოგვარება და ბოლოს მოსალებლად ივნისისაგან რამდენიმე დღე ისესხა.

მკითხველს ეხსომება რომ წარსულს თვეში სხვათა შორის იყო ორი ბანკის ყრილობა ერთი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულოსი და მეორე თბილისის საკრედიტოსი. ეხსომება აგრეთვე რომ ამ უკანასკნელი დაწესებულების თავს-მჯდომარე თ. ნაპოლეონ ამატუნი სათავად-აზნაურო ბანკის კრებაზედ უდროო დროს რაინდული ტანისამოსით შეიმოსა და სულგრძელ დონკიხოტსავით წაესარჩლა ქალაქის მსესხებლებს, რომელთ დაჩაგვრაზედ სრულიადაც არავინ ჰფიქრობდა. ეს ამბავი მოხდა კრებაზედ ნახევარ-პროცენტის მოკლების გამო. გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა, მართალია, საჭიროდ დაინახეს ამ $^1/_2{}^0/_0$-ის მოკლება, მაგრამ თითონ კრებამ იგი იცნა უდროოდ და ერთხმად უარ-ჰყო გამგეობის წინადადება. კრების აზრით, ნახევარ პროცენტის მოკლება თუმცა ცოტა შეღავათს მისცემდა მსესხებლებს, მაგრამ იმდენს არა, რომ ღირებულიყო ბანკის საქმის სახიფათოდ გახდომა და $^1/_2{}^0/_0$-ის მოკლებით კი იქნება ბანკს იმდენი წმინდა მოგება აღარ დარჩენოდა, რომ ზარალისათვის პასუხი გაეცა.

გამგეობის წინადადება შეეხებოდა ყველა მსესხებლებს, გაურჩევლად, როგორც ქალაქელებს, ისე სოფლელებს; ყველა მსესხებლებს შეეხებოდა აგრეთვე საზოგადო კრების გარდაწყვეტილება ამ $^1/_2{}^0/_0$-ის შეუმცირებლობაზედ, მაგრამ თ. ამატუნმა საიდგანღაც წარმოიდგინა, ვითომც საზოგადო კრება სისტემატიურად სდევნიდეს ქალაქის მსესხებლებს, რომელთა შორის ვითომ ცხრა წილი ($^9/_{10}$) სომხობაა და ერთი წილი სხვა რჯულის ხალხი; ჯერ თითონ კრებაზედ ლაპარაკით მოიჯერა გული და მერე გაზეთის ფურცლებზედაც გადიტანა თავისი დამცველი სიტყვა ხსენებული ცხრა წილის გამოსასარჩლებლად. სწორედ შესანიშნავია ის ნომერი «ახალის მიმოხილვისა», რომელშიაც დაიბეჭდა წერილი თ. ამატუნისა. თ. ამატუნს დასჭირებოდა თბილისის საადგილ-მამულო ბანკზე გალაშქრება, მაგრამ ამასთანავე საჭირო იყო მისთვის თავის გამართლება იმ ბრალისაგან, რომელსაც იმასა სდებდენ, ვითომ თავის მომხრეები შეეყაროს თბილისის საკრედიტო ბანკის კრებაში თითოსთვის სამ-სამი ხმა მიეცეს და ამ გვარად თავისი ჯამაგირი გაეორკეცებინოს (3000 მანათიდამ 6000 მანათი გაეხადოს) და დირექტორებისთვის თითოსთვის 1600 მანათი მოემატებინოს. რასაკვირველია, ძნელი იყო ერთსა და იმავე წერილში თავის გამართლებაც ერთს დაწესებულებაში და მეორე დაწესებულებაზედ იერიშით მისვ-

---

«დროების» ფელეტონი ივნისის 8-ს.

## ქუთათური ფელეტონი

ამ ნაკიანს წელიწადში ჩვენის ქუთაისის ცხოვრებაში რაღაც სხვა ახალი ხანა დადგა; არ ვიცი ჩვენ გამოვიცვალეთ, გადავხალისდით თუ ბუნებამ და ცხოვრებამ შეიცვალა ნივრი. აქამდის ყველანი „სკუჩნობას“ ვუჩიოდით, როგორც ჩვენი მუდამ ქალწულად დარჩენილი „ბარიშნები“ იტყვიან; აქაო და დრო ველარსად გაგვიტარებიაო, სეირნობას და „ვეჩერებს“ აღარავინ მართავსო, თეატრი აღარა გვაქვსო და სხვა და სხვა... ახლა კი სულ სხვა გახლავს! დღეს რომ წარმოდგენა იმართება, ხვალ კონცერტია, ზეგ ლექცია, მაზეგ კიდევ წარმოდგენა, მერე ლექცია, შემდეგ კონცერტი; ერთის სიტყვით,—ლექცია, წარმოდგენა და კონცერტი, კონცერტი, წარმოდგენა და ლექცია!..

ახლა დაუმატეთ ამას საჯარო სეირნობაც, ლოტარეია-ალეგრი! სადაც გაიხედ-გამოიხედავ, ყველგან ფერად-ფერადი აფიშები შეგხვდება; საითკენაც უნდა გაიარ-გამოიარო ყველგან შეგეფეთებიან წინ ბილეთებიანი მანდილოსნები, ან და უკეთ ვსთქვათ, „შლიაპოსნები“, რომლებიც ატოცის გლახასავით გიშვერენ თავიანთს პაწწკინა და ნაზს ხელებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ატოცის გლახა თავის საკუთარის ჯიბისათვის გლეჯება და ჩვენი აჯილოსნები კი ქველმოქმედობენ, ესე იგი, რომ ვსთქვათ, სხვათა და სხვათა სასარგებლოდ იღვწიან. ეს კია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ძალიან ბევრი კი კისრულობს ქველ-მოქმედის მოვალეობას, ისე ბევრი კისრულობს, რომ ბილეთის მსყიდველი აღარავინ რჩება; რომ გაიხედო, ყველას ბილეთები უჭირავს გასასყიდლად; თეატრში შეხვალ, ყველანი განკარგულებას აძლევენ, ვითომ და ჩვენის მონაწილეობით იმართება თეატრიო, კონცერტიო. ახლა ნუ დაივიწყებთ, რომ ყველას, ვინც ამ გვარს უსასყიდლო მონაწილეობას იღებს საქველ-მოქმედო საქმეში, აქვს ნება და ეგრედ წოდებული ზნეობითი უფლებაც უბილეთოდ დაესწროს წარმოდგენაზე, კონცერტზე, ლექციაზე!... და თუ კი ამას არ დაივიწყებთ, დამეთანხმებით, რომ მაგდენი არა უნდა შემოდიოდეს-რა ამ წარმოდგენებიდგან და ლექციებიდგან. და სწორედ რომ ასეც ხდება ხოლმე! დიაღ, ბატონო, ხანდისხან თეატრის დარბაზში ბლომად არის საზოგადოება, მაგრამ კასაში მაინც კიდევ თაგვები ხრიგინობენ!...

რაც შეეხება თვითონ წარმოდგენებს, კონცერტებს და ლექციებს, ამაზედ მაინც-და-მაინც ნუ ამიხირდებით, თუ დადუმდენ ბაგენი ჩემნი. ან კი რა ვსთქვა! წარმოდგენები სცენის მოყვარეთაგან იმართება ხოლმე, რადგან „ქუთაისის დრამატიული დასი“ წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენებს, თუ შეიძლება ასე ითქვას იმაზედ, რასაც არასოდეს არსებობა არ ჰქონია; მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ სცენის-მოყვარისაგან საზოგადოება იმის მეტს ვერას მოითხოვს, რომ სცენაზედ გამოსვლა შეეძლოს და სუფლიორის ბუდკიდან ყურის დაგდება. თუ სცენის-მოყვარე იმასაც მოახერხებს, რომ სცენაზედ ფეხებ-შეკრულ ქათამსავით იხტუნაოს, ვითომ და ნამეტანის მღელვარების გამოსახატავად, ეს ხომ ნამეტანი ნიჭიც იქმნება.

ლექციაზე ვერას მოგახსენებთ, რადგან ბედნიერი არ გავხდი, რომ დავსწრებოდი. მართალია, მივედი დანიშნულს დროს ხარაზოვის თეატრის დარბაზში, მაგრამ შევხედე, რომ არავინ იყო და სახლად თვისად წარვედი,—ვიფიქრე სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო გარდაუდვიათ-მეთქი! მაგრამ არ კი მოვსტყუვდი! თურმე ლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და თ. ამატუნმა ამ სიძნელის ასაცილებლად თავის წერილს, სათავად-აზნაურო ბანკის წინააღმდეგ მიმართულს, წინ წაუმძღვანა ბ. ნ. შანშიევისაგან ხელ-მოწერილი წერილი, რომელშიაც ბ. შანშიევი ცდილობდა ბ. ნ. ამატუნის ყოველის ჭუჭყისაგან განბანასა და განსპეტაკებას. (ეს ბ. ნ. შანშიევი ის შანშიევია, რომელიც საობლო სასამართლოს თავს-მჯდომარეობისაგან დროებით გადააყენეს). და აი ესრედ თავ-წყალ-გადავლებულმა, განბანილმა და განსპეტაკებულმა თ. ამატუნმა თამამად მიმართა იერიშით თბილისის სათავად-აზნაურო ბანკს და შემდეგი საბუთების ძალით ვითომ დაუმტკიცა, ის, რასაც იგი კრებაზედ სიტყვიერად ბრალადა სდებდა:

1) ვითომ სააღგილ-მამულო ბანკის კრება სისტემატიურად სდევნიდეს ქალაქის მსესხებლებს, რომელთა შორის ცხრა წილი სომხობაა და ამ აზრით მიეღოს შემდეგი წინადადება: ყოველს თავადსა და აზნაურს ნება ჰქონდეს წევრად გახდომისა, თუ ბანკის კასაში ხუთს მანათს მაინც შეიტანს.

2) ვითომც 1884 წლის საზოგადო კრებაზედ არ მიეღოთ ნდობის ქაღალდები, რომელნიც ქალაქელ მსესხებლებისაგან იყვნენ მიცემულნი და ეს განკარგულება სრულიად უკანონო იყოს.

3) ვითომ 1882 წლის საზოგადო კრებაზედ გარდაეწყვიტოთ, რომ ნება განაწილებისა და მოხმარებისა იმ ნაღდი მოგებისა, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის არის დანიშნული, მიეცეს მხოლოდ დამფუძნებელ წევრთა.

ამ შესანიშნავ გარემოებაში დაბეჭდილი წერილის პასუხად «ახალი მიმოხილვის» გუშინდელ ნომერში არის წერილი ილია ჭავჭავაძისა, რომლის შინაარსსაც ხვალ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

## შინაური ქრონიკა

— ზემო-ქართლში, ფრონის ხეობაზედ, სოფ. ფცაში გაძლიერებულა სახადი და თუმცა მაზრის ექიმისათვის შეუტყობინებიათ ეს გარემოება, მას ყურიც არ გაუბერტყნია და ასე უთქვამს, რომ ეგ უბრალო ციებაა და მალე გაივლისო.

— ვინც იცის, რა უღვთოდ სარგებლობენ ხოლმე ზოგიერთნი უფროსნი მოსამსახურენი თავიანთი უფლებით ჯარიმის გადახდევინების შესახებ, რა განუსაზღვრელად და განუკითხველად ავრცელებენ ამ უფლებას თავიანთ კერძო სურვილისა და სულის ვითარებისამებრ, ის ადვილად წარმოიდგენს იმ გაჭირებულ მდგომარეობას, რომელშიაც უნდა იყვნენ ჩაცვივნილნი ჩვენი რკინის-გზის უნცროსნი მოსამსახურენი და სხვა-და-სხვა ხარისხის კონდუკტორები. ამ უკანასკნელებს თითო ქიქის არაყის დალევისათვის 1 მან. და 5 კაპ. ჯარიმა ერთმევათ, პაპიროზის მოწევისათვის 1 მან. და 1/2 კაპ.

— თელავიდამ გვწერენ, რომ წელს კახეთში ძრიელ დაუსეტყვია სოფ. იყალთო, ქვემო-ნაწილი რუის-პირისა და კურდღელაურის ქვემო ნახევარი. დასეტყვილი ადგილები გადამწვარია და განიავებული, ისე რომ მუჭზედ დასაყრელიც აღარა მოვა რაო. ამ სოფლებში შიმშილობა წელს აუცილებელიაო.

— აბაშის სტანციიდგან გვატყობინებენ, რომ ივნისის 5-ს სენაკის მაზრაში, სოფ. საჭილაოსა და ქვათანის საზღვარშუა, დათა ფირანის-ძეს კორძაიას ძმის-წულის შემწეობით მოუკლავს თავისი ღვიძლი ძმა ელიზბარ კორძაია. რაღაც უკმაყოფილება ყოფილა წინადვე მათს შორის და ივნისის 4 წამოსულა თავის სოფლიდან ზემოხსენებული დათა, წამოუღია თოფი და მეორე დღეს ჩაუდენია ეს საზიზღარი მკვლელობა. პრისტავს მაშინათვე შეუტყვია ეს ამბავი, უცნობებია მაზრის უფროსის თანაშემწე ჭიჭინაძისათვის და დაუტუსაღებია ბოროტ მოქმედნი.

— ამ დღეებში თბილისში მოხდა ერთი რომანიული ამბავი: ერთს ახალგაზდა სომეხს შეჰყვარებია ებრაელის ქალი ხაი ჰებერისა და მოუნდომებია ჯვარის დაწერა იმ პირობით, თუ ებრაელის ასული თავის სჯულს დასტოვებდა და მიიღებდა სომეხთ სარწმუნოებას. ქალს თანხმობა გამოუცხადებია და შეყვარებულნი წასულან ეკკლესიაში ფაეტონით, მაგრამ ამ დროს დასდევნებიან ქალს მშობლები ნათესავებითურთ, დასწევიან და მოუნდომებიათ ქალის მოტაცება. სომეხს სომეხნი მიშველებიან, ებრაელებს ებრაელები და გაჩენილა საშინელი ჩხუბი და აყალ-მაყალი, რომელიც მხოლოდ პოლიციის დახმარებით შეწყვეტილა.

სომხები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ თურმე. ერთს სომხის მღვდელს უკისრნია კიდეც ნათლიობა და მონათვლაც. მეორეს უთქვამს: რაც ხარჯი იქნება მაგის მონათვლაზედ, სულ მე ვკისრულობ, ოღონდ ჩქარა—კი მონათლეთ.

— თ. აკ. წერეთელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის ლექსი, რომელიც იყო მოყვანილი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ფელტონში: «საარჩევნო ცხელება ქუთაისში» სრულიად იმას არ აკუთვნის და ის თავის დღეში არც დასწერდა ამისთანა მიმართულების ლექსსა.

— სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია ბროშიურის დაბეჭდვა ფილოქსერაზედ ქართულად ჩვენს ხალხში გასავრცელებლად.

— გუშინ «ევროპის» ბაღში იყო გამართული ბრდანელისა და ჭობისხეველის ჭიდილი თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, თუმცა შემოსავალი ძრიელ ცოტა დარჩა წვიმის გამო, მაგრამ ჭიდილი კი საინტერესო იყო. ბრდანელს ასეთი ღონიერი მოჭიდავე არ შეხვედრია. თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა ჭიდილი. პირველად ჭობისხეველმა პირქვე დაახეთქა მიწაზე ბრდანელი, მაგრამ ჭიდილის ახირებული კანონი მოითხოვს, რომ გულ-აღმა უნდა დაეცეს დამძლეული. მეორედაც პირქვე დაამხო ახალმა მოჭიდავემ. მესამედ საბრალო ბრდანელი დაიქანცა და უარი სთქვა—აღარ ვჭიდავობო, მაგრამ მომზირალნი არ დათანხმდნენ. ჭობისხეველიც გულით აღარ მოეკიდა ჭიდილს, რაკი მოწინააღმდეგემ იარაღის დაყრა გამოაცხადა. აი, ამ დროს ბრდანელმა ბარიერზე მიიგდო მოწინააღმდეგე და, რომ მართალი სთქვას კაცმა, ბარიერზე მიაწვინა; თუმცაღა მისი მოსარჩლენი გაიძახოდნენ „დასცაო" და ამასთანავე ეწეოდნენ ჭობისხეველს ბარიერზე უკან გადასაგდებად, მაგრამ სრულიად ვერ დასძრეს ეს გოლიათი.

კარგი იქნება, რომ მეორედ დასჭიდებოდნენ ამ ძლიერს მოჭიდავეს და ბრდანელს. მომზირალნიც ბლომად იქნება და მოჭიდავეთ ხერხიც და ძალაც ნამდვილად გამოჩნდება.

## «დროების» კორესპონდენცია

სოფ. კონდოლი, მაისის 22-ს. სოფელი კონდოლი მდებარეობს ქ. თელავიდგან აღმოსავლეთისკენ 7 ვერსზედ. ეს სოფელი მცხოვრებლებით დიდია, მაგრამ სახნავი მამულებით, ტყე-საძოვრებით კი ძრიელ უბედურია. კონდოლი ბედნიერია მხოლოდ ვენახებით. მათი რიცხვი მრავალია, მსხმოიარობა შესანიშნავი, ღვინის სიკეთე საუცხოვო და მოსავალი ხომ ისეთი იცის, რომ ამ მხრით კონდოლი თი-

---

ციის კითხვა ათ საათზე დაიწყეს! ვსწუხვარ დაუსწრებლობას მით უმეტეს, რომ ბევრი რამ საყურადღებო წარმოსთქვა თურმე ბ. ლექტორმა. მაგალითად, მაყურებლებს (იგულისხმე ოცი კაცი და შვიდასი ცარიელი სკამი) კათედრიდგან აუწყეს თურმე, რომ ბ. ქსენოფონტს კოლხები დახვდნენ, სხვათა შორის პურ-მარილით და ფქვილით, თუმცა კი ებრძანებია ბ. ლექტორს,—არ შემიძლია დაჭეშმარიტებით მოგახსენოთო, ეს ფქვილი პურისა იყო, თუ სიმინდისაო!..

***

ყველაფერზედ უფრო კარგი გასართობი შეიქმნა სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა და მოვალეთა კრება. ზოგისათვის თავგასართობი და ზოგისათვის კი გულისა და სულის გამაწბილებელი და ჯიბის დამცარიელებელი. ამოდენა ხალხის ქუთაისში ჩამოყვანა და რამოდენიმე დღით სასტუმროებში შენახვა ხუმრობა ნუ კი გგონიათ ამ უფულობის დროს. ჯერ-ჯერობით ყველასათვის უფრო საინტერესო საგანზედ კენჭობია არ ყოფილა, ესე იგი მმართველის და დირექტორის ამორჩევაზედ და ამიტომ რეზერვის ხალხი ჯერ კიდევ არ მოუყვანიათ ქუთაისში. განიხილეს და დაამტკიცეს წლიური ანგარიში, მომავალის წლის ხარჯთა-აღრიცხვა. სულ მშვიდობიანად ჩაიარა საქმემ მხოლოდ მმართველისა და დირექტორების ჯამაგირები შეამცირეს. მმართველს ენიშნება 2200 მ. და თვითოეულს დირექტორს 1200 მ. პროცენტს გარდა. შემდეგში, იმედი აქვსთ, ეს პროცენტების ძლევა მოსპონ და ჯამაგირი მაშინ ისევ აიწევს, რასაკვირველია.

***

ასე მშვიდობიანად არ ჩაუვლია სათავად-აზნაურო სკოლის საქმეს. სკოლის ანგარიში მოისმინა საზოგადოებამ, მოისმინა ისიც, თუ რას საჭიროებდა სკოლა და ყველაფერი დაუკმაყოფილა. მაგრამ ბავშვებისა არ იყვეს „სადაც იყო, ფრთხილად იყავ, ყური არ გააფაჩუნოვო", უეცრად გამოვიდა ორატორის მოედანზედ ერთი ვილაც, შეხედულობით ლუარსაბ თათქარიძე და ტვინითა და მიმართულებით კი ვინ იცის, ვინ ბძანდება და აღახვნა ბაგენი თვისნი და მოჰყვა... მაგრამ ღმერთმა კი შეარცხვინოს მასთან სოლომონის სიბრძნე, დემოსთენის ორატორული ნიჭი და «მწყემსის», რედაქციის აღვირ-წახსნილობა და კადნიერება, მეტი რომ არა ვსთქვათ!.. მოჰყვა და მოჰყვა!.. თქვა და თქვა!.. მაგრამ რა თქვა?! სათავად-აზნაურო სკოლაში სულ ქართულს ენას ასწავლიან და სულაო; თვითონ სწავლება ცუდად მიდისო; რაში მეკნაჭება შენი ქართულიო (სწორედ ასე გამოდიოდა), რად მინდა შენი ბონჟურ-მუსიო-მადამო და სხვა-და-სხვა... ერთის სიტყვით, მოსცვიოდა და მოსცვიოდა სულ ამისთანა მარგალიტი-მარგალიტზე ბაგეთაგან თვისთა ამ მეცხრამეტე საუკუნის ოქროპირს..

***

ჰეი, ჰეი, ნეტარ-ხსენებულო დიდებულო პოეტო ბარათაშვილო! შენი წინასწარმეტყველება დახე როგორ სრულდება!.. შენ არ სთქვი სოლომან მსაჯულის პირით, რომ

სახელმწიფოსა იგი ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვა და სხვაობდეს...

დახედე როგორ შეგვცვლია გული?!. როგორ დამახინჯებულა ჩვენი ტვინი! ვამბობთ, რომ ქართველი ენა პურს ვერ გვაჭმევს, ჯიბეს ვერ გაგვიმსებს და ამიტომ არც საჭირო არის, ესე იგი იმავე უკვდავის ბარათაშვილის უკვდავი სიტყვებით რომ ვსთქვათ:

«რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავნებს უცხოტომობა?..»

თქმის პირველია მთელ ალაზნის გამოღმა მხარეში და გაღმა კი იქნება ორიოდე სოფელმა დაჰკრას და დასჯაბნოს. თუმცა მესამედი მაინც აქაურის მამულებისა თელაველ ან სხვა სხვაგნებურ ვაჭრებს მაგრამ ორი წილი მაინც ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკუთვნის.

რაღაც ჩვენდა საუბედუროდ, ეს ორი წელიწადია ჩამოგვეკიდა სეტყვა და ხელს გვალებინებს დახუნწლულ ვენახებზედ და თავთავ-წასხმულ ყანებზედ. ამიტომ არის, რომ გავლატაკდით და ვალებით ამოვიღრჩეთ. წრეულობით ყოველ გვარ მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ, ახლა სხვა ჭირი გაგვიჩნდა. სეტყვა რას ჰქვიან, — ის მარტო წლის მოსავალს გვიფუჭებდა; ახლა კი, აგერ ორი დღეა, ამ ახალმა ჭირმა ლამის ძირიანად ამოგვაგდოს. აი საქმე როგორ არის: მოგეხსენებათ, წინანდლის და ქისისხევის ხევი, რომლის წყალზედაც ურიცხვი წისქვილებია დამწკრივებული. ეს წისქვილები თითქმის ნახევარ შიგნითა კახეთს უძღვებოდენ. ხევი ჩამოუდის კონდოლს აღმოსავლეთის მხრივ. მეორე დღეა, რაც წყალი, თითქმის, ნახევარ ვერსის სიგანის ხევში ვერ მოთავსებულა, —გადმოუჯამია ქისისხევის ბოლოში და მისდგომია კონდოლს თავიდგან. მოგორავს უზარ-მაზარი წყალი საშინელის თავისებურის სისწრაფით; იტაცებს უწყალოდ, რაც რამ ჰხვდება გზაზედ; სამაგიეროდ გვიტოვებს მხოლოდ ქვა-ღორღს. წისქვილები ზოგი წმინდათ მოგლიჯა და ზოგი ისე გახეშა, რომ, იქნება, ორი თვეც ველარ აბრუნონ პატრონებმა. სათოხნ სიმინდ-ლობიოს სრულებით გლეჯს და ჩააქვს ალაზანში. ამას ვინ ჩივის: თვითონ ნახნავ-ნათესს დედა-მიწას ისე გვიფუჭებს, რომ მათი გასწორება დიდ ხარჯს მოითხოვს: ჰხრამავს, ეხვეტება თან ქვევითა და ავსებს ქვა-ღორღით. ვენახებს სეტყვა გვიფუჭებდა თითო წლობით და ეს კი ისე სამამულოდ გვიოხრებს, ისე რომ, მგონია, ათი წელიც მოუნდეთ და მამულებად ძლივს-ღა ვაქციოთ. ვაზებს ზოგან გლეჯს სრულებით, ზოგან სულ ჰფარავს ქვიშა და ქვა, ალაგს ხრამავს, ღობეებს ალაგ-ალაგ ლეწავს და ალაგ-ალაგ სრულებით იტაცებს. ზოგ მკვიდრ ღობის ძირებში კი იმოდენა ქვა-რიყეს აგროვებს, რომ სრულებით საკმაო იქნება, ყორეს მოინდომებს პატრონი, თუ გალავანს. საკვირველი ის არის, რომ ერთ ვიწრო ბუდეს არ იდებს და ისე განგებ მოსარწყავად მოგდებულ წყალივით მოხუის და უჭირავს დიდ-დიდი სიგანის ზვირთები და ნათესები. რიყავს ქვა-ღორღით ისე, რომ სწორედ ახლად შემოფარგლულ ძველ რიყეებათ დასახავს კაცი ჩვენ მსხმოიარე ვენახებს. თავ-თავ-წასხმული ხომ აღარ ინახვება. არამც თუ გამოვარჩიეთ რასმე კიდევა, არამედ მოხვნითაც კი ვეღარ მოვხნავთ ამ ორიოდე წლის განმავლობაში. ბზები, უიმისოდაც მშვენივრები, სრულებით დახრამა და დააკლდევა. ბევრ სახლსაც მოაწვა, გამოუთხარა ძირი და შევარდა შიგ. სახურავები ბევრს ჩამოალაგებინა ძირს. ბოსლები ხომ პირამდე დაავსო. სახლში ან გომურში თუ რამე დაჰხვდა მოიტივტივა ზევით: კიდობნები, გოდრები, აკვნები, საბუდრები თავის კრუხ-წიწილით. ერთგან უადამიანო სახლში აკვანში ჩაკრული ბალღიც მოეტივტივებინა ზევით და ცოტაც რომ შეეგვიანა დედას, ჩქარა იმსხვერპლებდა. ბალღი კი გაეტაცნა დედას, მაგრამ თვითონ დედა კი მოეტაცნა და შეეგდო ქვევით ეზოს ღობეზედ. ეზოებში თუ რამ იპოვებოდა და გზა ჰქონდა სულ დაიტაცა. საშინელი იყო ამ დროს ატეხილი ჟრიამული, წივილ-კივილი. ზოგი გარედ მეზობლის სახლებში ებარგებოდა, ზოგი სხვებისაში, ზოგი სად და ზოგი სად. ჭვის სეტყვას ვირჩევდით ათას წილად და ამას კი არა. ზარალი ჯერ არ არის ანუსხული, მაგრამ, როგორც თანდისთან ცხადდება, ძრიელ დიდია. ქარგია კიდევ, რომ ეს აღელება დაიწყო დილით, თორემ შენი მტერი, ღამე რომ დაწყობილიყო. ეს ხევი წინედაც გადმოვარდნილა კონდოლზედ, მაგრამ ამოდენა ზარალი კი არ გვახსოვს, რომ როდისმე მოეცეს. ადმინისტრაციას რა შეუძლიან განრისხებულის სტიქიონის წინაალმდეგ? აბა რა იცოდა მან, თუ ეს მოევლინებოდა ქისისხევის წისქვილებს და კონდოლს, რომ წინათვე მაგრა დაეჯგერინებინა სათავე. წინასწარმეტყველი ხომ არ იყო, შეეტყო---რა მოხდებოდა კონდოლის თავზე. ეხლა ტყობულობს ბ. მაზრის უფროსი და ჩქარაც ეშველება კონდოლს. ეხლა კი ჩვენც იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩქარა ამ სიგანის ხევს მოგვაყოლებენ და სულ ფიჩხით გაგვამსებინებენ. ხევი კი თავისას არ დაიშლის, როგორც აქამდის არ დაუშლია. არა, ეს რაღა არის, რომ ჩვენ — კონდოლელებს გვერევებიან სხვა სოფლელებთან და ამ ხევის ბეგარა კი მარტოდ-მარტო ჩვენი კისერია. ხომ ჰხედვენ ეს ბატონები, რომ ვერას გზით ვერ ვერევით; სხვა სოფლებს კი ვალი არ უნდა ჰქონდეთ მოგვეშხრენ და ერთი მკვიდრი გალავნით შევაკაოთ თავის ბუდეში. ამ ორის წლის წინედ ძლივს ვითავეთ, დავიწყეთ ფულის გაწერვა—გამოღება გალავნის გასაკეთებლად, მაგრამ ველარავის კი ავაკრაბინეთ. ადმინისტრაცია გაიმართლებს თავს იმით, რომ ეს საზოგადო საქმე იყო. მსეც ფოსტის ფული ხომ არ იყო, რომ მას მოეკრიფა. ბოლოს, მგონია, ვიღაც ტერ-იაგორას ჩავაბარეთ ამ ფულების მოკრეფა და შემდეგი კი აღარა ვიცით-რა.

ამას, ბატონებო, სულ ხევზედ მოგახსენებდით; ეს წყალია, ჩქარა ჩაივლის, როგორც იქნება, მაგრამ საქმე კიდევ საჭირო-ჭირია. ამ წყლისაგან კიდევ ვარჩენთ რასმე, ვისაც რა გვაბადია, მაგრამ ღამის ოსტატებს კი ვეღარ გაუძელით, —საშინლად გაგვიმრავლდენ ესენი ამ გაზაფხულზედ. დუქანი გნებავთ—გამოაჩალხანავეს, მარნებში ღვინოებს არ უშვებენ, ასე გასინჯეთ, მღვდლის ღვინოსაც კი იპარვენ და ამსებენ მიწით ქვევრს. დილით, სანამ პატრონი ადგება, საქათმეს კარები ღია გახლავთ. იმ დღეს სამი ცხენი გაასეირნეს; მეოთხე მესამე დღეს მიაყოლეს. მეხუთე ალაგასაც მისულიყვნენ, მაგრამ იქ დღისით დაგულებული ცხენი შინ არ დახვედროდათ. კიდევაც უნდა გვქონდეს მოლოდინი, რადგან ამ ვაჟბატონებს, რომლებიც მთელმა სოფელმა იცის, დაუკვეხნიათ—არ დავდგებით, ვიდრე 24 ცხენს არ გავაციებთო. თუ, ვინიცობაა ვინმე მათზე სიტყვას იტყვის სოფელში—უტევენ, სუ, თორემ შენთვის ერთი ცხელი ტყვია არა მშურსო. დასეირნობენ ასე არხეინად.

ხევის საქმეში უგბილი კაცი, ვთქვათ, გარევს ადმინისტრაციას; ახლა ამ ქურდობაზედ და ავაზაკობაზედ რაღას იტყვის: ესეც მისი ბრალია? მისი ვალი იყო შეეყენებინა ყველა სოფლებში განაჩენები მასზედ, რომ თუ დაიკარგოს რამე სოფელში სოფელმავე ზღოს, თუ იყვნენ სოფელში ცუდი საქმის მქნელნი, გადასახლდენ ციმბირში და ეს განაჩენები ხომ არის კონდოლშიც და ინახება კარგად სოფლის კანცელარიაში. თუ ის მაიპაროს ვინმე! ოღონდ კი ის ისე წმინდად ინახებოდეს, როგორც დღემდის; და ნურც გადაახდევინებენ სოფელს რასმეს, ნურც არავის გადაასახლებენ.

ამ ქურდობასა და წარღვნასთან საშინელი ზნე გარყვნილობაც არ აკლია კონდოლს! თუ ნებით ვერას გახდენ, ღონეს ხმარობენ, ძალით გიცვივიან შინ. იმ დღეს, ერთ აქაურ მოხუცს დედა-კაცს შეუცვივდენ, და ბარბაროსულად მიაყენეს უპატიურება. ეს იმით ჩაათავლამიშეს, რომ კონდოლის მოხელეებმა კარგი სადილი გამოიგდეს. ეს საქმეები სოფელში ხდება, თელავში ხომ არა. რა იცის ბ. მაზრის უფროსმა, თორემ... ღვთის წინაშე, ერთის მაგივ-

---

მაგრამ თუ ეს ასე არის, თუ იმ ერთს ვაჟბატონს ბევრი სხვაც ჩუმად, თუ აშკარად ბანს აძლევს, რაღა ნება აქვს იმავე პოეტს, რომელსაც ამბობს პატარა კახზედ:

„აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ ნამაგსა და თაყვანსა ჰსცემს შენსა საფლავსა, ცრემლით ალნაგსა...“

***

მაგრამ დავანებოთ ამას თავი, დავუბრუნდეთ იმავე ქუთათურს ოქროპირს და ვკითხოთ, რა ზნეობითი უფლება აქვს, რა საფუძველი აქვს, როდესაც სათავად-აზნაურო სკოლას აშკარა ცილსა სწამებს და ამბობს, რომ იქ სწავლის საქმე კარგად არ მიდისო, ქართულს ენას ნამეტნავად ბევრი დრო და ფართო ადგილი აქვს მიზომილიო? ვკითხოთ მას, იცნობს იგი თუ არა ამ სკოლის პროგრამას, რომ იქ რუსულს ენას სათანადო ადგილი უჭირავს, რომ ქართული ენის გაკვეთილები თან-და-თან მცირდებიან ზემო-და-ზემო კლასებში, რომ ამის და გვარად რუსული ენის გაკვეთილები თან-და-თან მრავლდებიან და შემდეგ თვითონ სწავლებაც რუსულს ენაზედ გადადის და სხ. და სხ... რომ ამბობს, სწავლის საქმე კარგად არ მიდისო, ვკითხოთ ერთი, თუ ერთხელ მაინც შეუყვია თავის პატივ-ცემული ცხვირი სასწავლებელში, ერთხელ მაინც დასწრებია ეგზამენს! მაგრამ, ერთი, მეც ავხირებულვარ და ვიძლევი კითხვებს, თითქო არ ვიცოდე, რომ ის ვაჟ-ბატონი არც შესულა სასწავლებელში, არც დასწრებია ეგზამენებს და რომ იმან სრულიადაც არ იცის, რომ აქ თავი და თავი საქმე არა ქართულ ენა არის და ან ბონჟურ-მუსიო-მადამ, არამედ მთელი პრინციპი, მთელი სისტემა, რომ აქ ბრძოლა არის ორ-გვარის სწავლა-აღზრდის სისტემას შორის, რომ საააზნაურო სკოლისაგან აღიარებულს სისტემას მოსდევს, როგორც პირ-და-პირი შედეგი, ენის აღორძინება, საყმაწვილო და სამასწავლებლო ლიტერატურის გაჩენა და აყვავება, რომ ახლა მაინც ასცილდეს ჩვენი ცხოვრება იმისთანა ოქროპირებსა და მზრუნველებს, როგორიც ბრძანდება აი თუნდ იგივე ქუთათური ოქრო-პირი, რომ ამ სისტემას მოჰყვება ხალხური, ნაციონალური სიმღერა—გალობის აღდგინება, და სხ. და სხ... ბოლოს და ბოლოს კი ამ სისტემასაც ხომ იქ მიჰყავს კაცი, სადაც მეორე სისტემას, ესე იგი გიმნაზიებში და აქედგან უნივერსიტეტში და სხვა ათას გვარს სასწავლებლებში მხოლოდ ახალ-მოზარდობა მიდის ამ გზით უფრო მომზადებული, უფრო განვითარებული და დამთავრებული.

საზოგადოება ძალიან გააკვირვა ხსენებულის ვაჟბატონის უსამართლო და უსაფუძვლო გამოლაშქრებამ საააზნაურო სკოლის წინააღმდეგ. თითქო თავის ყურებს არ უჯეროდა, მაგრამ რომ დაინახა აღარ ხუმრობენო, ერთი იგრიალა და დიდი საყვედური და პროტესტი გამოაცხადა ბ. ქ. ლ—ძის პირით, რომელმაც სწორედ რომ ნამდვილად გამოხატა თავის მრისხანე სიტყვებში მთელის კრების ამღვრეული გრძნობანი... უკანასკნელი კრება მითი გათავდა, რომ მრავალ-წევროვანი კომისია ამოირჩიეს, რომელშიაც მხოლოდ მე და შენ ვაკლდით, მკითხველო და ამ კომისიას მიანდვეს ერთი გოდორი კითხვები გასარჩევად და თავისის დასკვნების მოსახსენებლად კრებისადმი, რომელიც იმავე კომისიისაგან შესდგება (კომისიაში დანიშნულია ორმოცამდის კაცი) მაგრამ ამაზედ შემდეგისათვის იყოს?

რაც შეეხება მმართველის კანდიდატურას, ამაზედ ყველგან საფლავებრივი სიჩუმეა, ვისაც უნდა ჰკითხო, კანდიდატად ვინ გვგულებაო, ყრუდ გიპასუხებს, კენჭი გარდასწყვეტსო...

გარეშე მაყურებელი.

რად, ორი პრისტავი კი ჰყავს მას, აქ, კონდოლში, მცხოვრებნი.

შინაური.

22 მაისს.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 5-ს.

**პეტერბურგი.** ამ დღეებში დამტკიცდა ის წესი, რა წესითაც უნდა მოაგროვონ ხოლმე ჯარებისათვის ცხენები მობილიზაციის დროს. ამ წესით ყველა ცხენები უნდა მოგროვილ იქმნან, რომელნიც კი ამ საქმისათვის გამოდგებიან, გარდა ფოსტის ცხენებისა და იმ ცხენებისა, რომელნიც ჯიშის გასაუმჯობესებლადა ჰყავთ.

**პეშტი.** პარლამენტის არჩევანი, როგორც ეტყობა, გააძლიერებს ლიბერალურ პარტიას, რომლის ხელშიაც ეხლა უფლებაა. ჯერ 206 ლიბერალია ამორჩეული. ოპოზიციის მომხრენი 159 არიან ამორჩეულნი; მათ რიცხვში 17 ანტისემიტი, მაშინ როდესაც დათხოვნილ სეიმში მხოლოდ 5 იყო ებრაელთ მოწინააღმდეგე.

ივნისის 7-ს

**პეტერბურგი.** ,,მმართებლობის მოამბე‘‘ თანაგრძნობით სავსე სიტყვებით იხსენიებს ელინთა მეფის მოსვლას პეტერბურგში. «მეფეო,—ამბობს გაზეთი — ყოველთვის მეგობრობას იჩენდა რუსეთისადმი, თუმცა კი ელინთა ერი, პარლამენტი და მინისტრები მეფის გრძნობასა და აზრებს არ იზიარებდენ იმ პარტიების გავლენით რომლითაც ჰმართავს რუსეთის მოწინააღმდეგე დიპლომატია; მეფე კონსტიტუციის ხელშეუშლელად აჯერხებდა ეს რუსეთის საწინააღმდეგო გულის თქმანი არ გამოაშკარავებულიყო ხოლმე და ამით არა მცირედი სამსახური გაუწია საბერძნეთს და კარგი ურთიერთობა ჩამოაგდო მისა და მის თანამორწმუნე ძრიელ რუსეთს შორის.

როგორც გაზეთები ლაპარაკობენ, რაკი საზყრობილეები გამრავლდება და გზები გაკეთდება სახალინის კუნძულზე, განზრახვა აქვთ ციმბირის გუბერნიებს მოაშორონ კატორგის ხალხიო. არესტანტების კარგად დასაცველად და დისციპლინის განსამტკიცებლად ფიქრად აქეთ, საპოსტო და ციხეების კომანდები ყოველწლობითა სცვალონ; მაგრამ ყველა ეს მოხსენებული ცვლილებანი ხუთ წელიწადზე ადრე ვერ მოხერხდებიან.

**ლონდონი.** ინგლისმა და საფრანგეთმა შეატყობინეს გუშინ სახემწიფოებს, რომ ჩვენ შორის მორიგება მოხდა ეგვიპტის შესახებაო.

**ბერლინი.** გამოცხადდა გერმანიის მემკვიდრე ბატონიშვილის დანიშვნა პრეზიდენტად, ხოლო ბისმარკისა — ვიცე — პრეზიდენტად პრუსიაში კვალად დაარსებულის სახემწიფო რჩევისა; ამ რჩევაშივე დანიშნულ იქმნენ წევრებად: სამოქალაქო ჩინოვნიკები და ოფიცრები რიცხვით 41, მსწავლულნი 3, სასულიერო პირნი 14, მდიდარ მემამულეთაგანნი 12, მრეწველობის წარმომადგენელთაგანნი 8 და სათემო ჩინოვნიკებთაგანნი 4.

**ბრიუსსელი.** მეფის ბრძანებისამებრ სენატი დათხოვნილ იქმნა; ახალი არჩევანი დანიშნულია 8 ივლისისათვის; პალატები 22 ივლისისათვის იქმნებიან მოწოდებულნი.

# განცხადებანი

—

**ინგლისური რკინის პრაოტები„**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, ყნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—17)

0000000000000000000000000000000000000000000000000

**შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.**

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან **ტფილისში**, სააფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—10)

0000000000000000000000000000000000000000000000000

**ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი**

**ა მ ი ს-ა მ ო მ უ ვ ა ნ ი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—38)

**მ ა კ-მ ა ს ტ ე რ ი**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

**ს ა გ ლ ო ბ უ ს ო** 

**კ ა ლ მ ე ბ ი**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კოპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაუკი—20 კ.** (100—96)

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | — კ. |

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშპაზათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დღ. მ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 7 Іюня 1884 г.* სტამბა პრ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.